



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

საქართველო

ბრძანება

№ 509

2016 წლის 19 მაისი

ქ.ლაგოდეხი

დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ვალდებულების ინფორმირებულობაზე და  
მოსაკრებლის გადამხდელ ოჯახების რეესტრის შედგენაზე ადმინისტრაციულ ერთეულებში  
გამგებლის წარმომადგენლებისათვის დავალების მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე  
მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „ე-ე“ ქვეპუნქტების ამავე მუხლის მეორე პუნქტისა და  
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივნისის N20 დადგენილების „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის  
მეოთხე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. დაევალოთ, ქ.ლაგოდეხის, შრომის, მაწიმის, წინიგორის, ბაისუბნის,  
გიორგეთის, აფენის, ლელიანის, ცოდნისკარისა და კართუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში  
გამგებლის წარმომადგენლებს, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები  
მოქალაქეების ინფორმირებულობა დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ვალდებულების  
თაობაზე.

მუხლი 2. დაევალოთ, ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ გამგებლის  
წარმომადგენლებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსაკრებლის  
გადამხდელი ოჯახების რეესტრის შედგენა.

მუხლი 3. ამ ბრძანების ფარგლებში გამგებლის წარმომადგენლებმა იმოქმედონ ლაგოდეხის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 თებერვლის N9 დადგენილებით „ლაგოდეხის  
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღებისა და მათი  
ოდენობების დადგენის შესახებ“.

მუხლი 4. ამ ბრძანების ფარგლებში დავალებული მოსაკრებლის გადამხდელ ოჯახების  
რეესტრის შედგენისას, დასახლებები საიდანაც არ ხდება ნარჩენების გატანა, არ იქნან  
გათვალისწინებული მოსაკრებლის გადამხდელთა რეესტრში.

მუხლი 5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს გამგებლის პირველ მოადგილეს  
გიორგი ბოკვარიას.

მუხლი 6. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით  
გაცნობისთანავე.

მუხლი 7. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში  
გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი



ვალიურია გამგებელი